ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 3.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲤᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1913 ᲬᲔᲚᲘ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1. სიტყვა—ეპისკოპოს ლეონიდისა; 2. საუბრები (რუსულით) ა. ᲨᲘ—სისა; 3. კრიტიკული შენიშვნები—ხომლელისა; 4. მოწერილი ამბები—ფერშ. ა. ბარელაძესი; 5. წერილი რედაქციის მიმართ; 6. მადლობის გამოცხადება.

„ᲛᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲙᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ (რედაქციაში, ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲣᲠᲗᲐᲠᲝ—ᲒᲐᲖᲘᲯᲔᲚᲘᲡ ᲨᲣᲚᲘᲡ სახლში № 17). და ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ, სიძნიანიანის შულის მეზობლად. გამოდის ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲔᲡ ᲝᲗᲮᲘ ნომერი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ᲬᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲗᲕᲔᲨᲘ:	ᲔᲡ. ᲬᲚᲘᲗ:	ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲗ:	ᲪᲐᲚᲙᲔ ᲗᲕᲔᲗ:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲐᲡᲔᲒᲔ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲑᲐ: თებერვლის 1 და 1 ივლისს 28. განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტიტით სტრიქონი ერთ შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: „ᲨᲐᲣᲠᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

სიტყვა*

სასულიერო სემინარიის სტუდენტ ბიქტორ ბერიძისადმი მისი მღვდლად ხელდასხმის გამო.

მოგილოცავ, საყვარელო ძმაო, და ამიერიდან უკვე სულიერო მამაო, ბიქტორ, მღვდელობის მადლის მიღებას. ვთხოვ ჩვენს ზე-

*) პატივცემულ ავტორის ქადაგებების ერთ უმთავრეს თვისებას შეადგენს მათი ფართო საზოგადოებრიობა, მათი საყოველთაობა; მისი ქადაგებები სახარების ნიადაგზე აღმოცენებული და მაზედვე დამყარებულ-დაფუძნებული საღვთისო პუბლიცისტური წერილებია. ასეთი ხასიათი აქვს მოყვანილ სიტყვასაც, თუმცა პირადად მიმართულია განსაზღვრულ პიროვნებისადმი. და ამიტომ ჩვეულებრივ სიამოვნებით უთმობთ ადგილს, და ვურჩევთ ყველას, რომელთა ქადაგების ცეცხლოვით ეშინიათ ამ თვალსაზრისით შეხედონ მისი მეუფების ქადაგების ფორმით ჩვენ გაზეთში მოთავსებულ წერილებს და ბევრიც რამ სტრიქონებს შორისაც ამოიკითხონ.

ᲠᲔᲓ.

ციერ მწყემსთმთავარს იესო ქრისტეს განამტკიცოს, განაცხოველოს და განაძლიეროს შენში ეგ ახლად დამკვიდრებული სული წმიდის მადლი.

ცხადია, შენ ჯერ ისევ იმ დიდებული წამის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფები, როდესაც ცრემლ მორეულმა გადმოგეცი ნაწილი წმიდა ტარიგისა სიტყვებით: „მიიღე წინდი ესე, და დაიცვ იგი მთელ და უვნებელ, ვიდრე უკანასკნელ ამომშვინვამდე ცხოვრებისა შენისა, რამეთუ გიძს ამისთვის მიცემა სიტყვისა მეორესა საშინელსა მოსვლასა მაცხოვრისა და ღვთისა ჩვენისა იესო ქრისტესსა“.

გთხოვ, გლოცავ და გევედრები ეს მცნება, ეს დავალება წმ. ეკლესიისა მარდის ყურში გედგას; რაც უნდა დაგემართოს ცხოვრებაში, არასოდეს არ დაივიწყო და ვიდრე ფშვინავ, ვიდრე სული გიდგია, კრძალულებით, სასოებით, სიფრთხილით და თავდადებით ატარო იგი გულითა და გონებით, აზრითა და გრძნობით.

წინდად ან ნიშნად მღვდლობის მადლის დამკვიდრებისა შენში ჩაგბარდა წმ. ტარიგი, ნაწილი წმ. სეფისკვრისა, მომასწავებელი სოფლის მხსნელისა, ჩვენი ცოდვების გამოსასყიდლად დაკლულის ზეციერის ტარიგისა. ამ წამიდან შენ ხარ მხოლოდ და მარტო ოდენ მსახური ამ ზეციერი ტარიგისა, -მქადაგებელი ქრისტეს საქმისა, მუშაკი კაცთა ცხონებისა, განწმედელი ცოდვებისა და ბოროტებისაგან ერის გულისა, გონებისა და სვინიდისისა, შემცდართა შემრიგებელი ღმერთთან, მაშენებელი ღვთის სასუფეველისა კაცთა შორის, ჩამომყვანი, დიად, გახსოვდეს და გწამდეს, ჩამომყვანი ზეციდან ქვეყანად დაუსაბამო მამის მადლისა ღა კურთხევისა, სოფლის მხსნელის იესო ქრისტეს სიყვარულისა, სულთა და ხორცთა ჩვენთა განწმედელის სული წმიდის ნუგეშისა და ზეციერ ძალთა და ყოველთა წმიდათა მხურვალე შეოხებისა. გარკვევით და ბეჯითად გებძანა შენ ამ წინდის დაცვა და შენახვა მთლად და უვნებლად მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში და გეუწყა, რომ ყოველთა განსჯის დღეს იძულებული იქნები მისცე ამისთვის სიტყვა მაცხოვარსა და ღმერთსა ჩვენსა იესო ქრისტესა. გამოსახატად რწმენისა, რომ ამიერიდან მთელი შენი არსებით, მთელი შენი სულითა და გონებით გაუყოფელად და მთლიანად შეეწირები მღვდელობის მოვალეობის განხორციელებას, გადმოცემული ტარიგი გეკავა შენ ორივე ხელში და, დაყრდნობილი წმ. ტრაპეზზე, წირვის უმთავრესი ნაწილის დროს მხოლოდ ამ სიწმიდეს დაჰყურებდი, მარტო მას უმზერდი, მასზე ფიქრობდი, იგი იყო შენი გულისა და გონების ერთად ერთი საგანი. ნეტარება და ბედნიერება შენ, თუ სულ მსგავსი გულსმოდგინებით და თავდადებით გაატარე შენი მღვდელობა, თუ იმგვარადვე მთლად და უვნებლად ჩააბარე მღვდელობის სიწმინდე, ზეციურ მწყემსმთავარს, როგორც მთლად და უვნებლად დამიბრუნე მე შენდამი დროებით გადმოცემული წმ. ტარიგი! სახელი და ნეტარება შენ, თუ მღვდელობის სიწმიდის ზიდვამ არ დაგლალა და ცხოვრებაში არ ჩამოაშორე მას რომელიმე ხელი, თუ მღვდელობის სიწმიდის დაცვაზე ზრუნვა, ფიქრი არ გაცვალე არასოდეს ჯილდოადმატებაზე, სიმდიდრის შეძენაზე, ხორცის შვება-სიამოვნებაზე, ოჯახისა და ნათესავების დაწინაურებაზე და სხვა რამ ამ გვარზე!

მღვდელობის მოვალეობის ღირსეულად შესრულება არასოდეს სუბუქი და ადვილი არა ყოფილა, მაგრამ აქედამვე გაუწყებ, ძვირფასო ძმაო, რომ აწინდელ პირობებში იგი მეტად სამძიმო და საძნელო შეიქმნა საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენში, ქართველებში.

დევნუდება, ტანჯვა და წამება არაფერს ახალს არ წარმოადგენს ქრისტეს ეკლესიის სიცოცხლეში. ეს თითქოს მისი თანდაყოლილი ბედია. თითონ იესო ქრისტეს დაბადებას 14 ათასი ყრმის გამუსვრა მოჰყვა უგუნური ირودის ბძანებით; არხიდიაკონი წმინდა სტეფანე სხვერპლია ქრისტეს სულ ნორჩ ეკლესიაზე აღძრული დევნულებისა, დღეს დიდებული ბერჯი ეკლესიისა მოციქული პაველ თავიდან სასტიკი მდევნელი იყო ქრისტესი, ნეროანი, კა-

ლიგულა, იულიანე განდგომილი და მათი მსგავსნი იხსენებიან მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ნაკადულებათ ადინეს ქრისტიანეთა სისხლი, ჩირაღდნებათ ხმარობდნენ ქრისტიანებს, ქრისტიანების ხორცით ჰკვებავდნენ გალიაში დამწყვდეულ ლომებსა და ვეფხვებს, ცხენებისა და ხარების მაგივრობას აწევინებდნენ ურემში და ეტლებში ქრისტიან ქალებს და მამაკაცებს და სხ. და სხ.

ჩვენი მშობლიო ივერიის ეკლესია? მას ხომ ამოსუნთქვითაც არ ამოუსუნთქავს მოსვენებით და გულდამშვიდებით! მაჰმადის მიმდევართა მძვინვარე ზღვის ტალღები მუდამ დღე არყევდნენ საქართველოს ეკლესიის პატარა გემს და დღე არ გავიდოდა, რომ ამ ტალღებს არ ჩაენთქათ ათობით და ასობით გემის გუშაგნი, მესაჭენი, მსახურნი და მოგზაურნი. არ მეგულება საქართველოში ოჯახი, რომ ქრისტიანობის დევნულებას არ გამოეგლიჯოს მისთვის რამდენიმე წევრი...

დიაღ, წარსულში ქრისტეს ეკლესიას არ ჰქონია მოსვენება დევნულებისაგან, მაგრამ ამ გარემოებას გაუძლიერებია, აუმაღლებია, გაუმშვენებია და უძლეველობის შარავანდედით შეუმოსია იგი. ეს არის შედეგი ორი პირობისა: ერთი, რომ ეკლესიის მდევნელები, მებრძოლნი და წინააღმდეგნი იყვნენ გარედან მოსულნი, უცხო ბანაკელნი, ქრისტეს მოძღვრების უვიცნი და მეორე, რომ ეკლესიას დაერს შეურყეველ ბურჯებად და ფხიზელ დარაჯებად უდგნენ მხარში ფრიად მორწმუნე, მაცხოვრის უზომო სიყვარულით აღფრთოვანებული და მეტად მაღალი, მეტად ნათელი გონების მღვდლები. ამ მღვდლების ხეშთაგონებულ ქადაგებას ვერ უძლებდა ვერავითარი ბოროტი ძალა და, სადაც მივიდოდნენ, მათ გარეშემო იბადებოდა ნათელი, სათნო და წმინდა ცხოვრება.

დღესაც სასტიკ დევნულებას განიცდის ქრისტეს ეკლესია, მაგრამ ეს დევნულება არსებითად განსხვავდება ძველი დევნულებისაგან. ჩვენ დროს ქრისტეს ეკლესია იდევნება არა წარმართთაგან, არა ურიათაგან და არა მაჰმადიანთაგან, არამედ თავისი შვილებისაგან ეკლესიისავე ემბაზში მონათლულებისაგან, ქრისტეს სისხლითა და ხორცით ნაზიარებთაგან, ქრისტიან დედამის შვილებისაგან, ქრისტიანულ ოჯახში და სასწავლებელში აღზრდილ-განვითარებულთაგან, შინაურებისაგან და შინაურ გამცემელს ხომ არას დროს და არსად ვერავითარი ციხე ვერ გაჰმაგრებია!

მეორეც, სხვებს არ შევეხები, და ჩვენს ეკლესიას აღარ ჰყავს მცველებად მარჯვე და შესაფერი მღვდლები. რას წარმოადგენს ქართველი სოფლებისა და ქალაქ-დაბების აწინდელი სამღვდელოება? სულ უმნიშვნელო უმცირესობის გამონაკლისით, განუვითარებელ და უმეცარ კრებულს, რომლის ცოდნაც საუკეთესო შემთხვევაში განისაზღვრება მხოლოდ საეკლესიო წიგნების გვარიანი კითხვით, წირვა-ლოცვისა, საიდუმლოებისა და ქრისტიანული წესების ტიბიკონისამებრ შესრულებით და ცოტაოდენი გალობით. ეს არის და ეს. მათთვის არ არსებობს არც საღმრთო წერილის მეცნიერული ცოდნა, არც ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური განვითარება, არც ქადაგება, არც საეკლესიო ისტორია და მამათა მოღვაწეობა, არც მათ მრევლთა სარწმუნოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა გაგება. თუ მღვდელმა კვირას სწირა, მოსანათლები მონათლა და საკურთხები დააკურთხა, თავის მოვალეობას საუკეთესოდ შესრულებულად სთვლის და მეტზე აღარაფერზე სწუხს.

ცოდნითა და საკმაო განვითარებით აღჭურვილი სამღვდელო პირნიც გვყავს, მაგრამ ერთი რომ ასეთები, როგორც მოვიხსენეთ, დიდს უმცირესობას შეადგენენ და ამის გამო მათი ძალა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ეკლესიის მოთხოვნილებათა და მეორეც, სამწუხაროდ, მათ შორის ზოგიერთებს, სამშობლო ენის უცოდინარობის გამო, ხმა ვერ ამოუღიათ, კრინტი ვერ დაუძრავთ და ვერ უსარგებლიათ თავისი ცოდნა-განვითარებით.

ცხადია, ასეთი მცველების, ასეთი პატრონების ამარად დატოვებული ეკლესია წაიქცეოდა და, საუბედუროდ, ეს ასეც მოხდა.

ქართველ ერში გაქრა და დაიკარგა სარწმუნოების ცოდნა, ჩვენი დროის ქართველი კაცის და ქალის გულსა და გონებას თითქმის აღარაფერს აღარ ეუბნება ქრისტეს ჯვარი და სახარება, წმ. ნინოსი, შუშანიკასი, თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის საღმრთო ცრემლებით მორწყულ-ნაზარდი ქრისტეს ტურფა წალკოტი ამოაგდეს ჩვენი დროის ბრანგვმა[1]) და ეშვმა,[2]) უმწყესოთ დარჩენილ ქართველ მრევლს მგლებივით შემოესივნენ ყოველი მხრიდან ურწმუნოების მქადაგებლები და შეაძულეს მას ქრისტე და ეკლესია!

იქამდინაა ჩვენში საქმე მიღწეული, რომ სათაკილოდ და სამარცხვინოთ აქვთ მიჩნეული მღვდლობის მიღება. განათლებულსა და შეგნებულ ახალგაზდას ქართველს რომ მღვდლად წასვლა ურჩიო, ქვა გუნდას მოგაყრიან, სასაცილოდ აგიგდებენ და უგუნურად, სულელად დაგსახავენ. მენახირეობა რა არის, მენახირეთ წავლენ და მღვდელობას კი ითაკილებენ ზოგიერთები! ოთხი წელიწადი სრულდება, რაც ამხელა ეპარქიას ვმართავ, და მხოლოდ ამ წელში მომეცა ბედნიერება ორი კურს დამთავრებული სემენარიელის კურთხევისა.

ეჭვს გარეშეა, მთლად ადვილად ვერც შენ შველეოდი, მამაო ბიქტორ, ერისკაცობას, შენც, უსათუოდ, მხოლოდ დიდი რყევისა და სულიერი ბრძოლის შემდეგ გადასწყვეტდი მღვდელობის მიღებას და, მადლობა ღმერთს, რომ საბედნიეროდ გამოხვედი შეცდომიდან, მადლობა ღმერთს, რომ ცოტა გვიან, მაგრამ მაინც საბოლოოდ ზურგი შეაქციე ჩვენი დროის მახინჯ შეხედულობას მღვდელობაზე. ამიერიდგან შენ უნდა ხმა მაღლა და გაბედულად იქადაგო, რომ არსებობს ღმერთი, მისი ქმნილებაა ცა და ქვეყანა, მისი განგეობა აწარმოებს კაცსა და ქვეყნიერებას, რომ ღმერთი სისრულე, სინათლე და სიწმიდეა და ჩვენ, მისმა შვილებმა, ჩვენი ცხოვრების უმაღლეს მიზნად უნდა დავისახოთ მისსავით სრულ ყოფა, მასთან დაახლოება გონებისა, ზნეობისა და მოქალაქობის განვითარებით, განათლებით და სიწმიდით, რომ ღმერთი საუკუნო არსებაა და ჩვენც ყველანი ქალიან კაციანათ თუ ამ ქვეყნად კეთილი, სათნო და საღმრთო მოქალაქობა გვექნა, შევიქნებით მომავალში მისი საუკუნო სასუფეველის მკვიდრნი. ასეთი იქნება დღეიდგან შენი მოქმედება და განა ჭკუაში მყოფი კაცისათვის წარმოსადგენელია ასეთი ქადაგების წინააღმდეგ ბრძოლა, ასეთ ქადაგებასთან მტრული განწყობილების დაჭერა?! მაშ, აგვიხსნან, ვისთვინაც ღმერთი და საიქიო არ არსებობენ, რა აზრი აქვსთ ქვეყნისა და ჩვენს არსებობას? თუ შენთხვევით და თავის-თავად ვჩნდებით ქვეყანაზე და ბოლოს ისე მტვრად გავიბნევით, მაშ რიღას მაქნისია და რა სახარბიელოა სწავლა-განათლება, რომელსაც ასე თავგამოდებით ელტვის ქალი და კაცი? რა აზრი აქვს აღებმიცემობისა, ვაჭრობისა, მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებას, რომლის გულისთვინაც სახელმწიფოები ერთმანეთს ზედ ასკდებიან? წუთიერი, ხანმოკლე და უაზრო ცხოვრებისათვის უფრო მიზან შეწყობილი და უკეთესი არ არის შეუგნებლობა, ველურობა და ნადირობა, ვიდრე სწავლა-მეცნიერება, რადგანაც, როგორც ჯერ ისევ ძველი აღთქმის ბრძენმა სთქვა, „რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ლმობაო“ [3]) (ეკლ. ა, 18)?

რა არის, თუ არა გონებრივი გაპარტახება ჩვენი საზოგადოებისა, ასე აბუჩად აღება მღვდელობისა, როდესაც მღვდელობას ხშირად მთელი თავიანთი თანაგრძნობით თავს დასტრიალებენ ისეთი ქართველები, როგორიც იყვნენ ილია და აკაზეგი და როგორიც არიან კლდიაშვილი, გაბაშვილის, ერისთავ-ხოშტარიასი და სხვანი? განა წარმოსადგენია, რომ კაცმა ქედი არ მოიხაროს ილია ჭავჭავაძის მამა გაბრიელის სურათის წინაშე? განა ონოფრე მოძღვარი აკაზიბეგისა საყვარელი პიროვნება არ არის? განა ეკატერინე გაბაშვილის ახალგაზრდა მღვდელი ნიკო ბერიშვილი... მაგრამ მაპატიე, ძვირფასო ძმაო, ეს იმდენად საყურადღებო და საგულისხმო პიროვნებაა შენთვისაც და სხვებისთვინაც,

[1]) დათვი.
[2]) ტახი, ღორი.
[3]) ტკივილი, მწუხარება.

რომ არ შემიძლია, თითონ პატივცემული მწერალი ქალის მომხიბლავი ენით არ გაგაცნო იგი.

აი, გაბაშვილის სიტყვით, რას სწერს ხსენებული მღვდლის შესახებ ერთი ახალგაზრდა თავადიშვილი თავის დედას:

„დედა ჩემო, რომ იცოდე, რა რიგად დამარცხებული ჩემი თავმოყვარეობა რა რიგად დასჭილია ჩემი სიყმაწვილის დანაშაული? ვიცი, რომ შენ ყველაზე სასტიკი მსაჯული ხარ ჩემი და სამართლიანად დაინახავ ჩემს სასჯელს, მაგრამ ვის გაუზიარო შენს მეტს, ვის უთხრა ის, რამაც ჩემი წარსული ჩემსავე თვალში ზიზღით აავსო და შავი და ბნელი მიაყენა!

ეპისკოპოსი ლეონიდი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში იქნება)

საუბრები

გლეხს, ფაბრიკის მუშის და მღვდლის შორის.

თანამედროვე სარწმუნოებრივი საკითხება.

(თარგმნილი).

შესავალი.

ეხლანდელს დროში ყველა ქალაქებისაკენ მიისწრაფვის, რომ იქ უფრო დამშვიდებით იცხოვროს, მეტს გამორჩეს და ჰპოვოს ბედნიერება. მაგრამ ამასთან ისიც სათქმელია, რომ ყველაფერი მავნებელი და დამღუპველი ჩვენს სოფლებში გადმოაქვთ ქალაქებიდანვე. ცრუ განათლება, ურწმუნოება და უზნეობა ვრცელდება ქალაქებიდან სოფლებში და ძალიან ცუდად მოქმედობს როგორც კერძო პირებზე, ისე მთელ ოჯახებზე. ეს იცის და შეუძლიან გულახდილად გვიამბოს პატიოსანმა და გულმართალმა გლეხმა პეტრემ, ის დიდი ხანია ფიქრობდა მიეღო როგორმე ახსნა-განმარტება სარწმუნოებრივ ზოგიერთ ეჭვებისა. მას ჰქონდა ერთობა სექტანტებთან და მისვლა-მოსვლა მეზობელ ქალაქში, აქ სასტუმროში ის კითხულობდა ხოლმე გაზეთებს და მათის გავლენით მისს უეჭველათ მორწმუნე გულში უკვე შეპარულიყო ეჭვი. მაშინ მან ერთხელ მოიმიზეზა და შევიდა მღვდელთან, რომ გაეხსნა მისთვის თავისი გული. „გული მეთანაღრება, მოახსენა მან, და მინდა, მამაო, რომ მომისმინოთ“ — „რატომაც არა, საყვარელო მეზობელო“, შენიშნა მღვდელმა. თქვენ იცით, განაგრძო პეტრემ, რომ მუდამ მორწმუნე ქრისტეანი ვიყავი, მიყვარდა ჩემი სჯული და ვცხოვრობდი მის თანახმად ეხლა კი მესმის და ვკითხულობ ბევრს იმისთანა რამეს, რაც ყოველთვის არ ეთანხმება ჩვენს სჯულს. ეხლა ამბობენ და სწერენ, რომ სრულიად არ არის არც ღმერთი, არც მარადისობა, რომ მთელი ქვეყანა არის ღმერთი და სიკვდილით ყოველივე ისპობა. უგუნური და ბრიყვია ის, ვისაც სწამს პირადი ღმერთი და მარადისობა. გაკითხვა, ცა და ჯოჯოხეთი მხოლოდ ის ზღაპრებია, რომლებითაც სურთ გააფუჭონ და მოსწამლონ კაცის ცხოვრება. რადგანაც არსებობს მხოლოდ საქაოს ცხოვრება, ამიტომ მხოლოდ მით უნდა დავტკბეთ და საიქიოს შექმნა შეიძლება ამ ქვეყანაზევე. აი როგორ უმსგავსს მოძღვრებას ჰქადაგებენ ეხლა თანამედროვე გაზეთებში და წიგნაკებში, რომლებიც ჩვენ ოჯახებშიც შეგხვდებათ. ასეთი უღვთო შეხედულობა და მოძღვრება მოაქვს ფაბრიკიდან ჩემს ქვისლს თომასაც და ავრცელებს თავისს ოჯახში და ტრაქტირშიაც. მე ის ძალიან მებრალება, რომ ფრიად დაშორდა და მოსწყდა წმიდა სარწმუნოებას. განსაკუთრებით კი მებრალება მისი ოჯახი, რადგანაც მან ყოველივე უნდა მოისმინოს ხოლმე მისის პირიდან უღვთო, ურწმუნობით სავსე, განმხრწნელი სიტყვები და მსჯელობანი. ძალიან კი მინდა, რომ თქვენ ის მოაბრუნოთ ჭეშმარიტს გზა-კვალზე.

მღვდელმა, რომელმაც მდუმარედ

მოისმინა ეს გულის დარდი თვისის მეზობლისა, სთქვა გულწრფელად და დინჯად: მე ძალიან მიხარიან, კეთილო მეზობელო, რომ თქვენ ეგრე ნდობით და გულახდილად განმიცხადეთ თქვენი სურვილი და თხოვნა. მე თქვენ იმ თავითვე გიცნობთ კეთილ და მორწმუნე ქრისტეანედ და იმედი მაქვს, რომ ეგრეთვე დარჩებით სიკვდილამდე. თქვენი საკუთარი ეკვი მალე გაიფანტება, რადგანაც თქვენ გაქვთ კეთილი განზრახვა და ნება და მიისწრაფით სიმართლისკენ. უფრო ძნელი იქნება დაყოლიება თქვენის ქვისლის თომასი, რომელსაც, მგონია, ერთობა აქვს ფაბრიკაში ურწმუნო ამხანაგებთან და მათგან უკვე მოშხამულია ცრუმოძღვრების გესლით. ის, მგონია, უკვე ურწმუნო თომაობს, თქვენ ისევ მორწმუნე პეტრე ხართ. მებრალება ის, ნამეტნავად კი მისი ოჯახობა. შესაძლოა, კეთილმა ცოლმა შვილებით დაჰკარგოს წმიდა სარწმუნოება თავის საკუთარ ქმრის მიზეზით. როგორ უმძიმებს ეს უკანასკნელი თავის სულს! ასეთ გავლენით და ხელმძღვანელობით აღზრდილ შვილებს რა კეთილი დაეყრებათ! მე თქვენ გირჩევთ: ხვალ საღამოთი თქვენი ქვისლი მოიყვანეთ ჩემთან; მე მზადა ვარ ამ თვეში ყოველ საღამოთი თავისუფალს დროს განგიმარტოთ სულ ყველა თანამედროვე მწვავე საკითხები.

პეტრე. ძალიან კარგი და ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, თუ თქვენ მაგ შრომას იკისრებდით. მე დიდი ხანია ეს მსურდა, მაგრამ ვერ გიბედავდით თქმას. მე ეხლავე წავალ ჩემს ქვისლთან და შევატყობინებ თქვენგან სიყვარულით მოწვევას. მე აქედანვე ვიცი, რომ ის სიხარულით მიიღებს ამას. გამოგიტყდებით, რომ მე ჯერ კიდევა მაქვს გავლენა მაზე და იმედია, რომ კარგს გზაზე დავაყენებთ მას. როგორ გაიხარებს მისი ცოლი, რომ მისი ქმარი დაუბრუნდებოდეს სარწმუნოებას და ხელახლად, როგორც უწინ, სუფევდეს ორივ მეუღლეთა შორის მშვიდობა სიყვარული და თანხმობა! თქვენ არ დაიჯერებთ, მამაო, რანაირად დაირღვა და დაიშალა ჩემის ქვისლის ოჯახი მას შემდეგ, რაც ის მიეკედლა იმ კაცებს, რომლებსაც თავის დროშაზე დაუწერიათ: ,,არ არის არც ღმერთი, არც მარადისობა!''

ბღვდელი: დიალ თავისთავად ცხადია, რომ იქ სადაც აღარ არის არც სარწმუნოება, არც რჯული, არ შეიძლება იქ იყოს არც მშვიდობა და არც ჭეშმარიტი ბედნიერება. ეს დაამოწმა ჯერ ისევ მართალმა იობმა, როცა სთქვა, რომ ღვთის მოწინააღმდეგე მშვიდობას ვერ ჰპოვებსო. გამოცდილებაც, ისტორიაც გვარწმუნებენ, რომ სარწმუნოება არის საფუძველი ყველა ბედნიერებისა და კეთილდღეობისა.

პეტრე: აი სწორედ მაგ აზრებმა მაიძულეს, რომ მოვსულიყავ თქვენთან და მეთხოვნა საჭირო დარიგება და განმარტება იმ მუხლებისა, რომლებსაც ეხლა ყველაზე უფრო უარჰყოფენ. მე ვეცდები თავი გავითავისუფლო და ხვალ საღამოთივე გეახლებით თქვენთან ჩემი ქვისლით.

ბღვდელი: ძალიან მესიამოვნება, თუ ხვალ ორივეს გნახავთ ჩვენსა. მაშ ნახვამდის!

შემდეგი იქნება.

ა. ჰ.

კრიტიკული შენიშვნები.

(„გრდემლი," სალიტერატურო კრებული წიგნი. I.)

ბ. ს. რ. გორგაძის წერილი ლექსთა წყობის თეორიიდან „ქართული წყობილ სიტყვაობა" დიდათ საყურადღებო სტატიაა. პატივცემული ავტორი ეხება ქართულ წყობილ სიტყვაობას და სწორეთ საქებურის ბეჯითობით და კეთილ სინი-

დისიერებით იკვლევს ჯერ სრულიად ხელუხლებელ ასპარეზს ქართული წყობილ სიტყვაობისას, კანონებს ქართული მახვილისას, ჰექზამეტრისას. თუმცა მახვილისა და ჰექზამეტრების შესახებ სხვა და სხვა აზრი ტრიალობს დღეს ქართულ მწერლობაში და საჭიროც არის ჩემი მკითხველისთვის ამ აზრების გაშუქება, მაგრამ მე ამ საგანს ახლა აქ ვერ გამოვუდგები. ვერ გამოვუდგები იმიტომ, რომ ეს საგანი, ერთი, ჩემს სპეციალისტობას არ შეადგენს, მეორეა ჩემს სტატიებს ისედაც შორს მივყავარ და, ამიტომაც, ბატ. გორგაძის სტატიაში ვუჩვენებ მკითხველებს მხოლოდ იმ ადგილებს, რომელიც უფრო სპეციალურად ჩემს პირდაპირ საგანს – სალიტერატურო კრიტიკას შეეხება.

ამ სამი წლის წინათ მე დავსტამბე „შინაურ საქმეებში“ ილია ჭავჭავაძის ლექსთა კრიტიკული განხილვა, სადაც, სხვათა შორის, აღვნიშნე შეუსაბამობა, არა ბუნებრივობა მისი ლექსებისა და, რომ სტატია არ გამეჭიანურებინა, მხოლოდ ერთი მაგალითი წარვუდგინე მკითხველს ჩემი აზრის დასამტკიცებლად. ახლა ბატ. ს. გორგაძე უფრო ვრცლად ეხება ამ საყურადღებო საგანს „გრდემლში“ და მინდა მკითხველს გავაცნო მისი არგუმენტაციაც.

,,გრამატიკულად არა ბუნებრივია, მაგალითად შემდეგი ხაზგასმული მუხლი ილია ჭავჭავაძის ლექსიდან:

,,ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა,
და ქვეყნად ჩემს სვლას
ჰსცემდა წმინდ ნათელს [1]).

როგორც მკითხველს მოეხსენება, სიტყვა „წმინდა“ ა-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელია. ხოლო, როცა ამ ასოზე დაბოლოებული ზედსართავები [2]) არსებითს სახელებს ექსოვება, იმავე ბრუნვის სრულს დაბოლოებას მიიღებს, რომელშიაც არსებითი სახელი ზის, ან სრულიად უცვლელი რჩება. მაშასადამე, სიტყვები „წმინდა ნათელი“ მიცემითს ბრუნვაში შექსოვის დროს მოგვცემს:

„წმინდა-სა ნათელ-სა“,
„წმინდა-ს ნათელს“,

ან:

„წმინდა ნათელს“,

და არას გზით არა:

,,წმინდ ნათელს“,

როგორც ეს ი. ჭავჭავაძის ლექსებშია. ცხადია, ავტორს პირველი სიტყვისთვის გრამატიკულად საჭირო ბოლო ასო (ა) იმ მიზნით დაუკლია, რომ მუხლში ხუთ მარცვალზე მეტი არ გამოსულიყო, რადგან მთელი ლექსი ხუთ ხუთმარცვლოვანი მუხლების ზომითაა დაწერილი. მაგრამ, რადგან ქართული ბუნება ამგვარს შემოკლებას ჯერ არ იცნობს, ამის გამო აღნიშნული მუხლი მსმენელის ყურსაც ეჩოთირება და გამოსათქმელადაც არა ბუნებრივია.

არა ბუნებრივია, აგრეთვე, შემდეგი ხაზგასმული ადგილი იმავე პოეტის მეორე ლექსიდან:

,, ან შენ მაშინ
რა იცოდი,
ან შენმ გიჟმა
რა იცოდა...“ [1])

მუხლი ,,ან შენმ გიჟმა“ გრამატიკულათ შეუწყნარებელი სიტყვათა შექსოვაა, რადგან კუთვნილებითი ნაცვალ სახელი ,,შენი და სიტყვა ,,გიჟი“ მოთხოვნითს ბრუნვაში ერთმანეთთან შექსოვის დროს იძლევიან, ან:

,,შენმან გიჟმან“,

ან:

,,შენმა გიჟმა“,

და არა ,,შენმ გიჟმა“. ქართული ენის ბუნება მოთხოვნითს ბრუნვაში კუ-

[1]) იხ. თხზულებანი ილ. ჭავ. ტ. 1 გვ. 19.

[2]) აგრეთვე ე-ზე, ო და უ-ზე დაბოლოებულნიც.

[1]) იხ. ილ. ჭავ. თხზულებანი ტ. 1 გვ. 95—96.

თვნილებითი ნაცვალსახელების ამგვარს შემოკლებას არ იცნობს. ამიტომ ზემორე ამოწერილს ლექსში აღნიშნული მუხლი არა ბუნებრივია და უკეთილხმოვანო...

,,ჩვენი ხალხური პოეზია, განაგრძობს ბ-ნი ს. გორგაძე, და, ზოგჯერ, საუკეთესო მწერლებიც ამ სამართლიან დებულებას (ე. ი. პატარა ლექსები თავიდან ბოლომდე ერთისა და იმავე ზომით უნდა იწერებოდესო. სილ. ხუნდაძე) არ იცავენ: ხშირათ ერთსა და იმავე ხანაშიაც კი სხვადასხვა ზომის საშაირო ტაეპებსა რევენ და მით დიდათ ვნებენ ლექსის კეთილ ხმოვანებას; ამგვარათ დაწერილი ლექსები გამოსათქმელადაც მძიმეა და მოსასმენად არა- ჰარმონიულია.

ამის დასამტკიცებელი მაგალითია ილია ჭავჭავაძის ლექსიდან ,,ბაზალეთის ტბა'', რომელიც დედა-აზრით და პოეტური სურათებით, როგორც ვიცით, ერთი საუკეთესო ლექსთაგანია, მაგრამ წყობილ სიტყვაობის მხრით კი მრავალ ნაკლულევანებას წარმოგვიდგენს ტაეპთა სქემა:

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი;
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არის.

—

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან;
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტფიან და დამღერიან.

—

ამას კი აღარ ამბობენ,
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა[2]).
როგორც მკითხველი შეამჩნევდა და

[2]) იხ. ილია ჭავჭავაძე—თხზულებანი ტ. 1. გვ. 295—296.

რიცხვითი სქემაც უჩვენებს, ზემოთმოტანილ პირველ ხანაში მეოთხე ტაეპი ჩახრუხაული შაირისაა, დანარჩენი ტაეპები კი იმავე ხანაში ყველა რუსთაველურია. პირიქით მეორე ხანაში მესამე ტაეპი რუსთაველურია, დანარჩენები კი ყველა ჩახრუხაულია; ასევეა მესამე ხანაშიაც, სადაც პირველი ტაეპი რუსთაველურია, დანარჩენები კი ყველა ჩახრუხაულია. და, აი, რით აიხსნება, რომ ეს სხვა მხრივ, ჩინებული ნაწარმოები წასაკითხად და მოსასმენად ჰარმონიული არაა. მართალია, თავის შენადგენობით იგი ძლიერ გვაგონებს ხალხურ ლექსებს, მაგრამ ამით მის „ჰარმონიას" არა ემატება-რა: მუსიკალობით იგი ძლიერ სუსტი ნაწარმოებია"...

არა ბუნებრივობას პოულობს ბ. ს. გორგაძე ვაჟა-ფშაველას ლექსებშიაც:

არაგვის პირით წასული
მე დავრჩი ვარმად ცალია,
მიპოვნა ერთმა მეცხვარემ
დაჭრილიც ცოცხალ მკვდარია. [3])

ამ მაგალითში ბოლო ასო ,,ა'' მხოლოდ მუხლების შესავსებლად (და რითმისთვის) არის ნახმარი; არავითარი გრამატიკული საფუძველი მას აქ არ მოეპოება. ამიტომ ბოლო მუხლების მოსმენა შეუჩვეველ ყურსა და გონებას ეუცხოვება და ეჩოთირება, როგორც ყოველი არა-ბუნებრივი და საკმაო საფუძველს მოკლებული მოვლენა...

,,ქვემორე მოტანილ მაგალითში ასო ო პირველ შემთხვევაში ბუნებრივია, მეორეში კი არა-ბუნებრივი:

მივიდა ხესთან ცულითა.
სთქვა: „უნდა მოვსჭრა ესა-ო.
შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს,
ხის შემოესმა კვნესა-ო.[4])

[3]) იხ. ვაჟა-ფშაველა—თხზულებანი ტ. 1, 1899 წ. გვ. 16.

[4]) იხ. მისივე „ცრემლები", გვ. 110—111, ტფ. 1909 წ.

მართალია ა-ნის და ო-ნის ამგვარი ხმარება ხალხურ ლექსებშიაც გვხვდება, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც ვერა სპობს იმ დისჰარმონიას, რომელიც ამ ასოების უადგილო ხმარებას ლექსის ბუნებრივობაში შეაქვს. ჩვენა გვგონია, ქართული სალიტერატურო ენა და კერძოთ, მწერლობითი წყობილსიტყვაობა უფრო ბევრათ მოიგებდა, უკეთუ ჩვენს მგოსნებს ხალხური სიტყვიერებიდან მხოლოდ ისეთი ფორმები შემოჰქონდესთ, რომელნიც ქართული ენის საგრამატიკო კანონებს არ ეწინააღმდეგებიან და მის ბუნებრივობას არ არღვევენ.

ამავე კანონს უნდა აკმაყოფილებდეს ქართული სალექსო მუხლიც, თუ გვსურს იგი კეთილ ხმოვანებით ყოველმხრივ უნაკლულო გამოვიდეს"...

ამ ჰკუიანურ სიტყვებს განმარტება აღარ ესაჭიროება. მაგრამ ისეთ შვენიერ მოქართულეს, როგორც ბ. ს. გორგაძეა, ვერ მივუტევებ, რომ იგი ხმაროს სიტყვას „საკმავოა". უნდა ითქვას საკმაო, რასაკვირველია.

ხომლელი.

შემდეგი იქნება

მოწერილი ამბები.

ჭიათურა. ერთი თვის წინეთ ჭიათურის საავადმყოფოში მისაღებად მოიყვანეს სოფელ ზორვეთიდან ანტონ გვალიას მეუღლე პოლეკსია, რომელსაც ქონდა მარცხენა მუხლს ქვევით შიგნიდგან გარეთ გახვრეტილი თოფის ტყვიით ფეხი. ტყვია იყო გავლილი წვივის ძვლების ახლოს მრავალ სამუშაო კუნთებსა და ძარღვებში. ავადმყოფს, რადგან ჯეროვანი აქიმობა დროზე არა ჰქონია, მუხლსს ქვევით ფრჩხილებამდის გაჩენოდა ანტონის ცეცხლი (Омертвение, Антоновъ огонь). აღწერილი ალაგი იმ ტკივან ფეხისა იყო ნორმალურზე შედარებით უფრო მსხვილი, მთლად მუხლიდგან ფრჩხილებამდის და ფრჩხილებიც გაშავებული, სისხლის მუშაობა ამ ფეხის უმეტეს ნაწილში შეწყვეტილი, უმეტესი ნერვები ამ ნაწილისა გრძნობა დაკარგული; სიცოცხლე ნერვებს შერჩენოდა მარტო ღრმად ძვლების ახლოს მდებარე ხორცსა და ძარღვში. ეს ფეხი მნახველს მოაგონებდა, ვისაც უნახავს ზაფხულის სიცხეში არა ავადმყოფობით დასუსტებულის, არამედ სისხლით, ხორცით და საზრდო მასალით სავსე ნაძალადევად მოკლულ ადამიანის სხეული. შიშისაგან და ჯავრისაგან ავადმყოფს თავის შნო და ფერი აღარ შერჩენოდა. გული ძალიან დასუსტებული ჰქონდა, რასაც მოწმობდა სუსტი და ჩქარი მაჯის ცემა, ანგარიშით ერთ წუთში ას ორმოცდა ათი (150). იმ ოთახში რომელშიაც მოთავსებული იყო ავადმყოფი, ფრიად ცუდი სუნი იდგა, დაზიანებული ფეხის ლეშიდგან გამოსული. ამ ნაირად დატანჯული ადამიანი საავადმყოფოში არ იქნა მიღებული სხვადასხვა მიზეზების გამო. კერძო ბინაზე აქიმობაც ზედმეტ უნაყოფო შრომად იყო ჩათვლილი, რადგან, გულის სისუსტის გამო, ოპერაციის გაკეთება არ შეიძლებოდა გამარჯვებით დაბოლოვებულიყო. სხვა საშუალებით აქიმობა და მორჩენა კი სხვა აქიმებს თავის თავზე არ მიეღოთ. შინ წასვლა ჭიათურიდგან, გზაზე სიკვდილის შიშით, თვით ავადმყოფს არ ესურვებია. აღნიშნული ავადმყოფი, მორჩენაზე იმედ-დაკარგული, ჭირისუფლებს საავადმყოფოდან წაეყვანათ და დაებინავებიათ ჭიათურის ბაზრის ზედა ნაწილში, ვანო ყურულიშვილის სახლის უკანა ოთახში. ამ ბინაზე სიარული საავადმყოფოს ხირურგს მისივე (ხირურგისვე) ხელმძღვანელობით წამლობა და შეხვევა დაევალებია ერთ ვინმე საავადმყოფოს ფერშლისათვის, რომელსაც ავადმყოფისათვის არავითარი საშუალება

არ გაეკეთებია და თუმცა შედეგის წინასწარმეტყველობა მისთვის არავის დაუკისრებია, მორჩენაზე უიმედობა ჭირისუფლისათვის აშკარად გამოუცხადებია და არხეინად, დამშვიდებული გულით, მოსვლისათანავე, უკან გაბრუნებულა. საავადმყოფოს ფერშლის ამნაირ საქციელზე შემიძლია დავსძინო, რომ სადაც ადამიანური თბილი შემატკივარი გულია ტანჯვაში მყოფ ადამიანზე, იქ შეუძლებელი საქმეც შესაძლო ხდება, ამას გვიმტკიცებს ურიცხვი მაგალითები. ბევრი მაგალითების წერა აქ უალაგოდ მიმაჩნია, მხოლოდ დავასახელებ ჩემ მიერ გამონაცად სამ შემთხვევას:

1894 წელს, სვანეთში, სოფელ ეწერში მე უსასყიდლოთ მოვარჩინე ერთი თვის წინათ ხანჯლით მუცლის კედლიდან ნაწლევში დაჭრილი გლეხიკაცის შვილი (გვარი არ მახსოვს), მოსოსტრი დადიშქელიანის სახლის ახლოს მცხოვრები, რომლის მორჩენის თვალით დამნახავი თვით მოსოსტრი და მისი მეუღლე ოლლა იყო. დაჭრილის გვერდზე გადაბრუნების დროს გაჭრილი მუცლის კედლის ჭრილობაც კი შიგნიდგან გამოსული ეკსკრიმენტით ისვრებოდა; მაგრამ ჩემი მიცემული წამლებით და გონივრული დარიგებით ისე კარგად მორჩა ის ბიჭი, რომ მორჩენის შემდეგ. ნაცრის ფერის მსგავსი სახე ვარდს დაემგვანა, რის შემდეგაც მე სვანეთში ერთ წელიწადს დავრჩი და ხშირად მქონდა შემთხვევა დადიშქელიანის სახლში მისვლის დროს მომეკითხა და მენახა ის ჩემი მორჩენილი ბიჭი ფიზიკურ საძნელო საშუშაოზე, აყვავებული და ჯანსაღი.

1895 წელს მთელი ლეჩხუმის მხარე გავაკვირე ოთხი წლის მდებიარე ავადმყოფის ვალოდია ნემსაძის მორჩენით ს. ისუნდერში, ოყურშის საზოგადოებაში. ოცი წლის ვაჟკაცი ვალოდია, რომელიც ავადმყოფობამდის სიმარჯვით, სისწრაფით და სილამაზით შესანიშნავ ყმაწვილს წარმოადგენდა, ოთხი წლის უტევარი ავადმყოფობით, ძვლების ჩონჩხს მოგაგონებდა. მოვარჩინე სვანეთიდგან მოგზაურობის დროს შემთხვევით ნახვით და ერთი კვირის განმავლობაში მასთან, მის ბინაზე. დარჩენით და ყოველმხრივი ხელოვნური აქიმობით. შარშან კი 1911/12 წლებში მოვარჩინე ექვსი თვის აქიმობით მეტად სამძიმო და საძნელო, ვიდრე ზემოთ აღწერილი, გვალიას ავადმყოფი ქალი, რომლის დაწვრილებით აღწერას თუ მეტი არა ოთხი ფურცელი ქაღალდი მაინც დასჭირდება. ეს იყო სოფ. სარქველეთუბანში (ჭიათურიდგან ექვსი ვერსის მანძილზე) მღვდლის სიმონ მერმანიშვილის მეუღლე — ეპრაქსია.

რადგან ხირურგის გამოგზავნილმა ფერშალმა თავს ვერ იდვა, თუ მორჩენა არა, საღავათი და ნუგეში მაინც მიეცა ავადმყოფი ქალისათვის, მომმართეს მე, კერძო აქიმის როლის მასრულებელ ფერშალს ამბროსი ამირანისძე ბარველაძეს, და მეც გაბედულად ვიდევი თავზე ავადმყოფისათვის საშვალების მიცემა და სიკვდილისაგან გადარჩენა. ათი დღის განმავლოაში დღე ყოველ, დილა საღამოს, მივდიოდი მე მასთან სხვა და სხვა საშვალების მისაცემად. ფეხი მუხლს ქვეით წამლების საშუალების ძალით მძორების მოშორებით ეწმინდებოდა და, თუ პირველ ხანში გულის სისუსტეს კინაღამ თან გადაეტანა ავადმყოფი, ჩემი წამლების საშუალებით იმ ათი დღის უკანასკნელ შვიდ დღეში ავადმყოფს გული სრულიადაც არ შეღონებია, ჭამის მადას მოუმატა, ჩირქის ცხელება, რომელიც იმ ნაირ ავადმყოფს თან ახლავს, თავთავის დროს სასაქმებელი ტაბლეტიკების ძლევით, შეუმსუბუქდა და სიცხე ნორმალურს მიუახლოვდა, მაჯის ცემაც 95 რიცხვამდის ჩამოვიდა, ესე იგი გულის მუშაობაც ნორმალურს

მიუახლოვდა. ავათმყოფის ოთახში დეზინფეკციას დეზინფეკციონი წამლების და პულვერიზატორის საშვალებით ვაკეთებდი. ჩემმა ხელოვნურმა ყოველ მხრივმა აქიმობამ ავადმყოფის პატრონებს სიკვდილის შიში მთლად დაუკარგა. ამ სიკეთის დროს ავადმყოფის ოთახში შემოსულა ჩემდა ფარულად ვიღაც კალატოზი ქაფჩით ხელში, რომელსაც აღეთქვა დაზიანებულ ფეხის მეორე საღ ფეხსავით მორჩენა, თუ მოიყვანდენ სოფელ არგვეთიდან დარისპან ტეფნაძეს. მე კი თავიდგან ბოლომდის ვადექი ერთ პირს: ფეხს მოვარჩენდი მხოლოდ ისე, რომ მუხლს ქვეით სამუშაო ძარღვების მოქმედება იმ ფეხში აღარ ექნებოდა. მუხლ ქვეით ავათმყოფი ფეხს მოიხმარდა ისე, როგორც ხელოვნურად გაკეთებულს; ავადმყოფის მორჩენა გამოიხატებოდა გულის გამომრთელებაში, სიცხის ნორმალურზე დაყენებით, გულის ნორმალურ მუშაობაში, კარგ მადიან სმაჭამაში, მტკივანი ფეხის კი საღ ხორც ძარღვ-ძვლებამდის მოწმენდაში და წამლების საშუალებით მომშრალებაში, თუ დამორებული ხორცის საფარი კანი ვერ შესძლებდა მთლად წამოზრდას, თუ ისურვებდა ავადმყოფი, ბოლოს იმ ფეხის მოჭრაც შეიძლებოდა სიცოცხლის უვნებლად. ამაზე მეტი სიტყვის მიცემა არ შემეძლო, თუმცა შესაძლო იყო უფრო ნამყოფიერი ბოლო ჰქონოდა ჩემს აქიმობას. მეთერთმეტე დღეს დილით ადრე ჩვეულებისამებრ, როცა ვნახე ავადმყოფი, პატრონებმა გამომიცხადეს, რაც იყო დამალული ჩემგან. მიამბეს, რომ მოუყვანიათ და კიდევაც გარიგებიან თერთმეტ თუმნად ხსენებული ტეფნაძეს, რომელსაც თავზე უდვია მტკივანი ფეხის მორჩენა ისე, როგორც მეორე საღი ფეხია. ეს ტეფნაძე მე დაწოლილი და საბანში გამოხვეული მძინარი დამიხვდა. მე მითხრეს არ გეწყინოსო, ფეხის კარგად გამომრთელება იმედია შენც გაგეხარდებაო. დილა ადრე იყო მე იქიდგან სხვა საქმეზე მივეშურებოდი, მაგრამ აჩქარებით ჩემი ნამდვილი რწმენა ავადმყოფის და ახლად მოსული აქიმის შესახებ მაინც მოვასწარი გამომეთქვა. ვუთხარი, რომ სასტიკად სცდებოდენ: ვინმე სოფლის აქიმი იმ ავადმყოფის მორჩენას ვერ შესძლებდა, მხოლოდ მტაცებლური მიზნით იმ გადაჭრილი სააქიმოდგან ნახევარ სააქიმოს დატყუებდა და მეორე დღეს რომ კიდევაც მომკვდარიყო ავადმყოფი, იმ გამონაძარცვ ფულს მაინც შეირჩენდა, თუ ამ ჩემი გაფრთხილებით არ ისარგებლებდენ. ამნაირად ბევრი ტეფნაძის მსგავსი სოფლის აქიმი სწარმოებს, მე გამოცდილობით ვიცოდი. ბოლოს დავსძინე, რომ იმ ავადმყოფის მორჩენას უნდოდა არა არტო ერთგვარი წამლობა, არამედ ყოველ მხრივი და ყოველნაირი. ბოლოს მიპასუხეს: ყოველი აქიმი თავის თავს აქებსო, ჩვენ გვსურს ესეც გამოვცადოთო, სად წაგვივა, რომ მოგვატყუებსო და ამით გამისტუმრეს. ტეფნაძეს ფული წინდაწინ გამოეტყუებია, მხოლოდ, რადგან სირცხვილით აღარ გამოაქვეყნეს, არ ვიცი რაოდენობის სინამდვილე და ორ კვირე ნახევარს უცხოვრია ქიათურაში გვალიას ხარჯით, რა დრომდისაც იოცხლა თვით ავადმყოფმა. ავადმყოფი გამოასალმა წუთი სოფელს უმაღლეს წერტილამდის სიცხის ამატებამ და გულის სისუსტემ ჩემი წასვლიდამ ორ კვირე ნახევარს შემდგომ. ეს მოხდა დეკემბრის ოცრიცხვში 1912 წ. მეორე დღეს კი რკინის გზის ვაგონით წაასვენეს შინ.

ამით მივაქცევ რა ამ შემთხვევას ბ. ბ. წამკითხველთა ყურადღებას, ვისურვებ არავინ შევიდეს ამნაირ შეცდომაში და იმ დროს, როდესაც ადვილად, ხელსაყრელად და წესიერად რჩებიან მე დიცინის საშვალებით აღსიშნული ავად-

მყოფის მსგავსი ხირურგიული ავადმყოფები, ნურავინ ჩავარდება ტეფნაძის მსგავს ხეპრე, არას მცოდნე, ცრუ-აქიმ-ყაჩაღების ხელში, განსაკუთრებით იმ-ნაირ მძიმე შემთხვევის დროს, როდესაც კარგ გამოცდილ საქმის მცოდნე ამ დროის ხირურგსაც კი შეაფიქრებს აღ-ნიშნული ავადმყოფის მსგავსი პირის აუ-ცილებლად სიკვდილისაგან გადარჩენა. მე იმ ტეფნაძეს სხვა შემთხვევაშიდაც ვიცნობ, როგორც არა კეთილსაიმედო პირს.

ფერშალი ამბროსი ბარელაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ პატარა შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზ. „შინაურ საქმეებში“.

,,შინაური საქმეების“ № 1-ში წავიკითხე, ვითომც მე მეთხოვოს უწმინდეს სინოდში სკანდის ეკლესიის შეფასება იმ აზრით რომ იმ ეკლესიის მრევლს მეორეთ გადავახდევინო ფული ჩემ-და სასარგებლოთ. ეს ცილის წამებაა და ურცხვი ტყუილი. მე ასეთი სურ-ვილი არავისთვის გამიცხადებია და მიკ-ვირს ბ. ,,ალიოშამ“ საიდგან გაიგო ჩემი გულის პასუხები?! მე შეფასება მიტომ ვითხოვე, რომ უმართლოთ ვისჯები ბ.ბ. ყოფილ ბლაღოჩინის იასონ აბესაძის და ყოფილ ღვდლის ზოტიკე ჩიქვილაძის მეოხებით. ვისჯები და ამიტომ ვითხო-ვე ეკლესიის შეფასება. 5550 მანეთში 30,000 მანეთის ეკლესია ავაშენე და კი-დევ მე ვისჯები 6000 მანეთის ჯა-რიმით. ეკლესია ავაშენე ჩემ საკუთარ ადგილზე, წელიწადს და ცხრა თვეს შვიდი ოსტატი ბერძენი და თორ-მეტი შავი მუშა შინ მყავდა ჩემ სა-კუთარ ხარჯზე, მრევლისაგან არავითარი ხარჯი არ მიმიღია; უკანასკნელი ერთი სტაქანი ღვინო და ერთი მჭადი არ და-ხარჯვია მრევლს, ამას თვითონაც იტყვი-ან; მხოლოდ უნდა მოეცათ ჩემთვის 5550 მანეთი ფული და ჩემი გამზადილი მასალა უნდა მოეტანათ. ეს ფული ნახევრობა ღვდლებმა და კამიტეტებმა შეჭამეს, მე ცარიელი დამტოვეს და ჯარიმასაც მახდევინებენ! რაიცა შეეხება მ. ალი-ოშას სიტყვებს იმის შესახებ, რომ ვითომ მღვდლები ი. წერეთელი და ს. მაჭარაშვილი დ. ჩხარში დარჩენ და გან-ძრახ არ გაყოლიან ბ. ფრიკს ეკლესიის დასათვალიერებლად -ეს თუ ცილისწა-მებით არა გაუგებრობით მაინც მოსვლია კორრესპონდენტს. აი საქმე როგორ იყო: ჩემი ეკლესიის შემფასებელი კომისია, რომელსაც შეადგენდა ხსენებული ორი პატივცემული მღვდელი და გუბერნიის ინჟინერი ფრიკი, უნდა მოსულიყო ად-გილობრ 25 ივლისს 1912 წელს. მობრ-ძანდნენ ღვდლები წერეთელი და მაჭა-რაშვილი სოფელს სკანდეს თანადასწრე-ბითა ადგილობითი პოლიციის პრისტა-ვისა და იცადეს ორი დღე, მაგრამ ინ-ჟინერი ფრიკი არ მობრძანდა და ამიტომ ესენიც წავიდნენ ისე, რომ არაფერი და-უდგენიათ. ამის შემდეგ კიდე გადასწყვი-ტეს მოსვლა მარიობისთვის პირველის-თვის. უნდა მოსულიყვნენ სამივე ერთად, მაგრამ ამ მეორე ვადაზედაც მარტო მ. მ. მღვდლები და პრისტავი მობრძანდა. მა-შინ ბ. ბ. ღვდლებმა სთხოვეს უ. პოლი-ციის პრისტავს დაებარებია ხსენებული ეკლესიის აღმაშენებელი კომიტეტის წევ-რები და რამოდენიმე მრევლთაგანიც; პრისტავმა მაშინვე შეასრულა. კამისიის წევრებმა პრისტავის თანდასწრებით თა-ნახმათ უწმინდესის სინოდის უქაზისა ყო-

ველივე გამოკითხეს და შეადგინეს ოქმი, რომელზედაც ხელი მოაწერეს კამიტეტის წევრებმა და პოლიციის პრისტავმა. დარჩა საქმე ისევ გაუთავებელი ინჟინერის მოუსვლელობის მიზეზით. შემდეგ ამისა, კიდე დანიშნეს საქმე 26 ნოემბრისთვის და უნდა მოსულიყვნენ სოფელს სკანდეს. მ. მ. მღვდლები ი. წერეთელი და ს. მაჭარაშვილი 25 ნოემბერს საღამოს მობრძანდენ დაბა ყვირილაში. მეც იქ დავხვდი. 26 ნოემბერს დილის პოეზდით ქუთაისიდგან უნდა მოსულიყო ინჟინერი ფრიკი, მაგრამ არ მოვიდა სახალხო მატარებლით. მღვდლებმა საღამოს მატარებლით ქუთაისში წასვლა გადასწყვიტეს, რომ მის მეუფებისთვის მოეხსენებიათ თავისი შეხედულება მინდობილ საქმის შესახებ, მანამ კი ბინაზე წავედით. თურმე ინჟინერი ათ საათზე სალდათების პოეზდს მოყოლია, უქირავებია ფაიტონი და წასულა ჩხარში. ჩხარიდგან მამასახლისი წაუყვანია სოფელ სკანდეში და უნახავს ხსენებული ეკლესია და დაბრუნებულა. ჩვენ მისი წასვლა გვიან შევიტყვეთ, მაშინვე ჩავჯექით ჩვენ ნაქირავებ ფაეტონში და, რაც შეიძლებოდა, სიჩქარით გავსწიეთ ჩხარისაკენ. გვინდოდა მიგვესწრო ადგილობრივ, სკანდეში ინჟინერ ფრიკისთვის, მაგრამ გამობრუნებული სკანდიდგან ბატონი ფრიკი, ექიმ ტერტეროვთან ერთად, ჩხარში შეგვხვდა, საიდანაც ყვირილამდი ერთათ წამოვედით. ასე იყო ეს საქმე. რასაც თვით ბ. ფრიკიც დაგვიმოწმებს და სხვაც ბევრი. ჯერ საქმე ისევ გაუთავებელია კამისიის მხრით და არც არავინ იცის საით გადაიხრება მათი სამართლის სასწორ-საზომი.

მადლობის გამოცხადება.

ბაგრატის ტაძრის ნაშთის დაცვის კომიტეტი ულმრმეს მადლობას უძღვნის ბლ. მღ. ვ. აბრამიშვილს, რომელმაც აღნიშნულ საქმისათვის თავის საბლაღოჩინოში ფული შეაგროვა, და ყველა ქვემო აღნიშნულ შემომწირველთ. სია შემომწირველთა:

ბლ. მღ. ვ. აბრამიშვილი 2 მან., მღ. ა. იაკობიშვილი—1მან, მღ. ე. აბაშიძე—1 მან, მღ. ე. ზაბზიძე—1 მან, მღ. ა. კურცხალია—1 მან, მღ. პ. ყიფშიძე—1მან. მღ. გ. მიქაძე—1 მან, მღ. ე. იკობაშვილი—1 მან, მღ. ი. წიქვაძე—1 მან, მღ. ი. აბაშიძე—1 მან. მღ. ა. მესხი—1 მან.

კომიტეტის მინდობილობით—ა. გორგაძე.

მამავო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემი ისე ჩემი მრევლის მხრით ს. ზანის მცხოვრებს ილარიონ გვაძაბიას რომელმაც ჩემდამო რწმუნებული ეკლესიას შემოსწირა ოცი მანეთი და შანდლები ღირებული ორმოც და ათი მანეთი.

დეკ. კონსტ. ბერიძე.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „შინაურ საქმეების“ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ს. ხევიჯვარში მცხოვრებელს გიორგი იოსების ძე ტაბატაძეს და თფილისის მოქალაქეს თედო ტაბატაძეს, რომელთაც კეთილ-ინებეს და შემოსწირეს, პირველმა ხუთი მანეთი, ხევიჯვრის სამრევლო სკოლას და მეორემ—ხევიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიას ერთი ხელი შესამოსელი ღირებული 70 მან. და ორი გირვანქა კარგი სურნელოვანი საკმეველი.

ხევიჯვრის შკოლის მმართველი და ამავე ეკლესიის მღვდელი სიმონ ხარაძე

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით ჩემი და ჩემდამო რწმუნებული ქვედა შხეფის შტატის მთავარანგელოზის ეკკლესიის მრევლთა სახე-



იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ლ. ქ. ნავთით

-×: ᲒᲐᲜᲐᲗᲘᲛᲨᲘᲡᲐ :×-

═══ ᲓᲐ ═══

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲥᲣᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲮᲡᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲨᲔᲒᲜᲘᲔᲠ ᲮᲐᲜᲒᲛᲚᲘᲕ ×| ᲤᲐᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲘᲒᲘ Ი. ნ.

ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲛᲘᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐᲡ

ᲛᲮᲡᲜᲐᲠᲗᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲗᲣᲒᲓᲝᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 18.

ლით უდიდესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო მოხსენებულთ პატივცემულთ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოწირეს ამ ეკკლესიას:

1. გვარდიის პოლკონიკმა თავადმა ოტია ელისბარის-ძე დადიანმა ორი რკინის ბოძი 2. ნადვორნი სავეტნიკმა სპირიდონ ივანეს-ძე ენუქიძემ ხუთი რკინის ბოძი. 3. ქ. ფოთის მოქალაქემ უფ. დიმიტრი საბას-ძე ფანკულაიამ ერთი ზარა წონით ოთხი ფუთი და 10 გირ. 4. ქ. ფოთის მოვაჭრე გიორგი კონსტანტინეს-ძე ცავამ ერთი დიდი დასაკიდი კანდელი, ღირებული ორმოცი მანეთისა. 5. აზნ-მა ანდრონიკე ისლამის-ძე გაგუამ ერთი გარდამოხსნა, ღირებული თუთხმეტი მანეთისა 6. დიანოს ხორავამ ემალიროვანი აიაზმის ჭურჭელი. 7. ერასტო შურლაიამ ემალიროვანი ტაშტი და თუნგი, 8. დ-ვით გვასალიამ ორი ცინკის დასადგამი შანდლები, ღირებული ხუთი მანეთისა. 9. ათონის სიმონ კანანელის მონასტრიდან ყოველივე საძღვდელო და ტრაპეზის შესამოსელი, ძვირფასი დაფარნები, კრეტსამბელი და სამკვეთლოს გადასაფარებელი აბრეშუმისა, ღირებული ას ორმოცდა ათი მანეთისა. 10. ქალბატონმა ოლგა ჯანჯღავასა ჩაჩიბაის ასულმან ემბაზი, ღირებული რვა მანეთისა. 11. ქალბატონმა ელისაბედ (ჭვიპია) ეკისა,

გუგუშვილის ასულმა რკინის რეშოტკები, ღირებული ოცდა ათი მანეთად და დამპირდა კანკელის აღსაშენებლათ ასი მანეთი ფულს. 12. ქალბატონმა ოლგა ხოფერისამ ბერიძის ასულმან ათ მანეთი ფულად საეკკლესიო წიგნების შესაძენათ. 13. აზრი ერასთო მიხაილის-ძე ქავთარაძემ ამავე მიზნით სამი მანეთი. 14. მაკრინა ჩიქობავამ 15 კაპეიკი.

ქვედა შხეფის მთავარანგელოზის შტატის მღვდელი ევსევი ხოფერია.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჯედლიძე**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველთვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჯედლიძე.

განათლება

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

სამეცნიერო-პედაგოგიურ და საალიტერატურო ჟურნალ „განათლებაზე“ წელიწ. მე-6-. 1913 წელს ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები. იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ. წლიური ფასი ჟურნალისა არის 4 მ., მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მ., საზღვარ გარედ 6 მ. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის **იაკობ გოგებაშვილის** მოზრდილ **სურათს.** ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ივანე ავალიშვილთან ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში – წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს, დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Грузин. Дворянская Гимназія. Л. Г. БОЦВАДЗЕ. რედ.-გამ. **გ. ბოცვადზე.**

Открыта подписка

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

ЗАКАВКАЗЬЕ

Безпартійно-прогрессивный, демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія національностей.

(Восьмой годъ изданія).

Подписная цѣна.

Съ доставкой въ городѣ Тифлисѣ:

12 м.	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
5 р.	4 р. 70 к.	4 р. 40 к.	4 р. 10 к.	3 р. 80 к.	3 р. 40 к.	3 р.	2 р. 60 к.	2 р. 20 к.	1 р. 75 к.	1 р. 35 к.	75 к.

Съ пересылкой для иногородныхъ.

7 р.	6 р. 50 к.	6 р.	5 р. 50 к.	5 р.	4 р. 50 к.	4 р.	3 р. 50 к.	2 р. 80 к.	2 р. 10 к.	1 р. 40 к.	75 к.

Заграницу вдвое больше городской.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ.

Для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп., Стороннее сообщеніе 15 коп., зрѣлища и увеселенія 20коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги на 4 стр. 25 коп., каждое. Траурныя объявленія—4 руб.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор.: С.-Петербургѣ—Большая Морская, № 11, въ Варшавѣ—Маршалковская № 130, по 24 коп., передъ текстомъ и 12 коп., послѣ текста.

სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის ქუჩა № 17. ქ. ქუთაისში.